

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საქართველო,

თბილისი

2026

მკირფასეულობით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება #

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი	ფიქსირებული
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის ფინანსური ხარჯები	
შენატანები (პროცენტი) კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს	
ვადის ბოლოს შენატანი (ძირი+პროცენტი)	
გაცემის საკომისიო	
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა	
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	
კრედიტის მოქმედების ვადა	
საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა	
წინასწარი დაფარვის საკომისიო	
ვადაგადაცილების პირგასამტეხლო	სესხის ნარჩენი ძირი თანხის <u>0.27</u> % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში ხარჯების (მათ შორის, სესხის %-ის) დაკისრება წყდება მას შემდეგ, რაც მათი ჯამური მოცულობა მიაღწევს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ამავე ხელშეკრულების 11' მუხლით განსაზღვრული პირობების დაცვის გათვალისწინებით.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით;

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება მოკლე ტექსტური შეტყობინებით მსესხებლის სატელეფონო ნომერზე _____ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე .

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

მუხლი 1: ხელშეკრულების მონაწილე მხარეები

ერთის მხრივ სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ" (ს/კ 205274273) წარმოდგენილი მიერ (დამოუკიდებელი მოლარე-ექსპერტ-შემფასებელი) შემდგომში გამსესხებელი/მოგირავნე, და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი (3/5) შემდგომში მსესხებელი/დამგირავებელი, ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთახმდებით შემდეგზე:

მუხლი 2: ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გამსესხებელი/მოგირავნე კისრულობს ვალდებულებას, გასცეს მსესხებელზე/დამგირავებელზე სესხი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადითა და ოდენობით, ხოლო მსესხებელი/დამგირავებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს მიღებული სესხი, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

მუხლი 3: სესხით სარგებლობის პირობები

- 3.1. სესხით მთლიანი თანხა: ლარი
- 3.2. გასატანი/ხელზე ასაღები თანხის ოდენობა: ლარი
- 3.2.1. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა
- 3.3. სესხის ვადა: თვე (ავტომატურად იმავე ვადის გაგრძელების უფლებით)
- 3.3.1. სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: თვე (ავტომატურად იმავე ვადის გაგრძელების უფლებით)
- 3.4. სესხის ყოველთვიური პროცენტი
- 3.4.1. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი
- 3.4.2. საპროცენტო განაკვეთის ტიპი ფიქსირებული
- 3.5. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
- 3.6. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0.27 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში ხარჯების (მათ შორის, სესხის %-ის) დაკისრება წყდება მას შემდეგ, რაც მათი ჯამური მოცულობა მიაღწევს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
- 3.7. სესხის გაცემის საკომისიო: ლარი
- 3.8. პირგასამტეხლო სესხის წინსწრებით დაფარვისას: ლარი
- 3.9 სესხის გაცემისა და დაფარვის წესი
- სესხი გაიცემა ერთ ნაწილად
- 3.9.1 მსესხებელი ვალდებულია დაფაროს სესხის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტში მითითებული წესის შესაბამისად.
- 3.9.2 მსესხებლის მიერ კრედიტორისათვის გადახდილი თანხით მსესხებლის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირგასამტეხლო / ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) , დარიცხული პროცენტი / სარგებელი, კრედიტის ძირითადი თანხა. ამასთან კრედიტორი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებებისამებრ შეცვალოს ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა.
- 3.9.3 იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს კრედიტორის წინაშე ეკისრება რამდენიმე ვალდებულება ერთდროულად და მათგან ერთ-ერთი წარმოადგენს ვადაგადაცილებულ დავალიანებას გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ვალდებულების დასაფარად გადახდილი ნებისმიერი თანხა მსესხებლის მიერ აურჩევლობის შემთხვევაში პირველ რიგში მიმართოს ვადაგადაცილებული დავალიანების დასაფარად, რაზეც მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას. ამასთან, პარალელური ვალდებულებების ერთდროულად ვადაგადაცილებისას გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს თუ რომელი ვადაგადაცილებული ვალდებულება / სესხის დასაფარად მიმართოს მსესხებლის მიერ გადახდილი თანხები.
- 3.10 კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს გადასახდელი პროცენტის ოდენობა შეადგენს:

წინამდებარე სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ძალაშია თავსართში მითითებული თარიღის სამუშაო დღის ბოლომდე

3.10.1. ყოველთვიურად დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებს კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს. იგივე პირობა ვრცელდება კრედიტის მოქმედების ყოველი შემდგომი ვადის ავტომატური გაგრძელების შემთხვევაში.

3.11. მსესხებელი/დამგირავებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე ნაწილობრივ ან სრულად დაფაროს სესხის ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას), ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში სესხისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა (3.3 პუნქტი და 3.3.1 პუნქტი) გახანგრძლივდება ავტომატურად ყოველი მომდევნო _____ თვის ვადით, ხოლო საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება სესხის შემცირებულ ძირზე.

მუხლი 4: საპროცენტო სარგებელი, მისი დარიცხვისა და შეწყვეტის წესი

4.1. კრედიტის ეფექტური საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით, ამასთან, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა ფინანსური ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის მიღების, შენარჩუნების და/ან ამ სესხით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.

4.2. თუ გამსესხებელი ვადადმდე, ცალმხრივად შეწყვეტს ამ ხელშეკრულებას, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება სესხის დაბრუნებამდე მანამ სანამ ვადაგადაცილებულ სესხზე მიმდინარე ვადაგაცილების სრულ აღმოფხვრამდე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გაუტოლდება სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას ან წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთების რეალიზაციამდე.

მუხლი 5: პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი

5.1. იმ შემთხვევაში თუ გამსესხებლის ანგარიშზე არ ჩაირიცხება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, გამსესხებელი უფლებამოსილია (არ არის ვალდებული) დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.6 პუნქტში მითითებული ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ამ ხელშეკრულებით დადგენილი სხვა გადასახდელების გადახდისაგან.

მუხლის 6: სესხის უზრუნველყოფა

6.1. მსესხებელი/დამგირავებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლებით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ ძვირფასეულობას, რომლის ჩამონათვალი და ღირებულება მოცემულია მხარეებს შორის გაფორმებულ ძვირფასი ლითონების შეფასებისა და მიღება-ჩაბარების აქტში # _____. აღნიშნული აქტი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

6.2. მსესხებელი/დამგირავებელი წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გამსესხებელს/მოგირავნს პირდაპირ მფლობელობაში გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებულ ნივთებს და მისთვის ცნობილია, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მიღებული გირავნობის საგნები გამსესხებელი/მოგირავნის მიერ მიიღება როგორც ლითონი და არ განიხილება როგორც ნაკეთობა;

6.3. გირავნობის საგნით უზრუნველყოფილია სესხის ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზარალი, აგრეთვე გამსესხებლის/მოგირავნის მიერ დაგირავებული ნივთის შენახვა-რეალიზაციის ხარჯები. გირავნობის საგნით ასევე უზრუნველყოფილია ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, დავალიანების იძულებითი წესით გადახდეინებაზე მოგირავნის მიერ გაწეული ყველა დანახარჯის ანაზღაურება.

6.4. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს _____ ;

6.5. გირავნობის საგანი ინახება გამსესხებელთან/მოგირავნთან;

6.6. გირავნობის უფლება ვრცელდება გირავნობის საგნიდან მიღებულ ნაყოფზეც

6.7. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გირავნობის საგნის გატანა შესაძლებელია მხოლოდ მსესხებლის ან მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენის შემთხვევაში.

6.8. იმის გათვალისწინებით, რომ მსესხებლის/დამგირავებლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მოგირავნის მიერ საბანკო დაწესებულებიდან მიღებული კრედიტი, მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს თანხმობას და უფლებას ანიჭებს მოგირავნს, მოგირავნისთვის გადაცემული ძვირფასეულობა მოგირავნემ დააგირავოს საკუთარი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ. ამ მიზნით, მოგირავნე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის, როგორც მსესხებელი/დამგირავებლის წარმომადგენელი და მინდობილი მესაკუთრე.

6.9. მსესხებელი/დამგირავებელი ინფორმირებულია იმ სამართლებრივ შედეგებზე, რაც შესაძლოა მოჰყვეს ქონების დაგირავებას, მას მიღებული აქვს სრული და ამომწურავი ინფორმაცია საკრედიტო ვალდებულებების შესახებ და გაცნობიერებულად ანდობს ქონებას მოგირავნს.

მუხლი 7. კრედიტის წინსწრებით დაფარვა

7.1. მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სესხის ძირითადი თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ, ამასთან სესხის წინსწრებით დაფარვის წესი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 3.8 პუნქტში.

7.2. გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის მიერ სესხის სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად გადახდილი თანხით მოახდინოს სესხის წინსწრებით დაფარვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის თაობაზე მსესხებელი წერილობითი ფორმით ან/და სხვა დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით (შესაბამისი იდენტიფიცირების შემდეგ) მიმართავს გამსესხებელს;

წინამდებარე სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ძალაშია თავსართში მითითებული თარიღის სამუშაო დღის ბოლომდე

მუხლი 8. პრეტენზიების წარდგენის ფორმა

8.1. მსესხებელი უფლებამოსილია გამსესხებელს წაუყენოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან/დანართებიდან გამომდინარე პრეტენზია წერილობით, გამსესხებლის ვებ გვერდზე www.scapp.ge მომხმარებელთა პრეტენზიების მოდულში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებით ან ზეპირად; 8.2. გამსესხებელი ვალდებულია პრეტენზიის შესწავლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს მომხმარებლის მიმართვისა და საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლის იდენტიფიკაციიდან 1 თვის ვადისა, პრეტენზიის განმცხადებელს, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, დაუყოვნებლივ წერილობით ან ელექტრონულად (წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ან პრეტენზიის ფორმაში მითითებულ მისამართებზე) აცნობოს მას საკითხის შესწავლის შედეგები და სადაც შესაძლებელია, შესთავაზოს პრეტენზიის გადაწყვეტის პირობები; 8.3 მსესხებლის მიერ წაყენებული პრეტენზიების მიღება, დამუშავება და შედეგების შესაბამისი ადრესატებისათვის გაცნობა ხორციელდება, გამსესხებლის მიერ წარდგენილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ოფიცრის მიერ.

მუხლი 8¹. ინფორმაციის მიწოდება სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“

8¹.1 სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“ (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის #118; 1-ლი პავილიონი; ს/კ 205274273) შეაგროვებს/დამამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). 8¹.2 მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 9. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

9.1. მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ გირავნობის საგანი არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და მასზე სამართლებრივი დატვირთვა ან უფლებრივი შეზღუდვა არ არის რეგისტრირებული. 9.2. გირავნობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა, თუ გირავნობის საგანს არ გააჩნია რაიმე ისეთი სახის ნაკლი, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას; 9.3. გირავნობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა თუ მესამე პირებს არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ გირავნობის საგანზე პრეტენზიის წაყენების უფლება. 9.4. მსესხებელი/დამგირავებელი აცხადებს, რომ : 9.4.1. მართლზომიერად ფლობს გირავნობის საგანს საკუთრების უფლებით, გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის აუცილებელი ყველა უფლებამოსილება სრულად და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა; 9.4.2. არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სუბიექტის სახით, რითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება საფრთხე შეექმნას მის ქონებას, საკუთრების/სარგებლობის/მფლობელობის უფლებას გირავნობის საგანთან მიმართებით ან/და მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ან სხვა რომელიმე ხელშეკრულების პირობების შესრულებას; 9.4.3. მის მიერ გამსესხებლისათვის/მოგირავნისათვის წარდგენილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისთვის არის უტყუარი და ზუსტი და წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების პირობების დარღვევას; 9.4.4. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით და არ წარმოადგენს მოგირავნის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა რაიმე ნეგატიური გარემოების ზემოქმედების შედეგს; 9.4.5. მისთვის ცნობილია, რომ მოგირავნისათვის ყალბი ცნობების ან/და დოკუმენტების მიწოდება გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით წარმოადგენს დასჯად ქმედებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით; 9.4.6. მსესხებელი/დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს გამსესხებელს/მოგირავნეს, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, გირავნობის საგნის (ძვირფასი ლითონები) ხარისხის, მისი მახასიათებლის ან/და დადგენილ ოქროს სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, განახორციელოს ნებისმიერი სახის ღონისძიება (მათ შორის ძვირფასი ლითონის ჩაქლიბვა), რაც ემსახურება გირავნობის საგნის ხარისხის შესწავლასა და დადგენას. 9.4.7. იმ შემთხვევაში, თუ გამსესხებლის/მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის შემოწმების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიწვია ძვირფასი ლითონის დაზიანება, გამსესხებელი/მოგირავნი სრულად თავისუფლდება მსესხებლის/დამგირავებლის წინაშე იმ პასუხისმგებლობისგან, რაც გამოწვეული იქნა ნივთის შემოწმების შედეგად;

მუხლი 10. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ჯეროვნად კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას; 10.2. გამსესხებელი/ მოგირავნი უფლებამოსილია: 10.2.1. მოითხოვოს მსესხებლისგან/დამგირავებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელად დაცვა და შესრულება;

10.2.2. ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მსესხებლის/დამგირავებლის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდება, რომ საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნებას;

10.2.3 მსესხებლის/დამგირავებლის თანხმობის გარეშე მოახდინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებების მთლიანი ან ნაწილობრივ გასხვისება და/ან გადაცემა (დათმობა) სხვა პირზე, ამასთან 6.1 პუნქტში მითითებული უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონება გამოიყენოს საბანკო დაწესებულებებიდან ან/და ფინანსური ორგანიზაციებიდან მის მიერ მიღებული სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველსაყოფად;

10.2.4 განახორციელოს უზრუნველყოფის ღირებულების შემცირება, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან ერთი კალენდარული თვის განმავლობაში დაფაროს სასესხო დავალიანების სხვაობა თავდაპირველად დაგენილი სასესხო დავალიანების შორის ან მოახდინოს ზემოთაღნიშნული სხვაობის შესაბამისი გირაოს(ძვირფასეულობის) გამსესხებლისათვის/მოგირავნისათვის გადაცემა.

10.2.5 მსესხებლის/დამგირავებლის მიერ აღებული სესხის ძირის, ასევე მასზე დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს დაფარვის უფლება მისცეს ნებისმიერ მესამე პირს, რომელსაც გააჩნია მსესხებლის/დამგირავებლის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემები.

10.2.6 ნებისმიერ დროს თუკი ექვი გაუჩნდა მსესხებლის/დამგირავებლის მიერ მასთან დაგირავებული ძვირფასეულობის სიყალბესთან მიმართებაში, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს მსესხებელს/დამგირავებელს სესხის სრულად დაფარვა და დაგირავებული ნივთის გატანა.

10.2.7 გირავნობის საგნის მფლობელობაში მიღების შემდგომ ნებისმიერ დროს მესამე პირებთან დამატებით გადაამოწმოს გირავნობის საგნის (ლითონის) ნამდვილობა, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი შემოწმების ეტაპზე დაადგინდება რომ მიღებული ნივთი ყალბია მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ სრულად დაფაროს სესხი და გაიტანოს დაგირავებული ნივთი.

10.3. გამსესხებელი/მოგირავნე ვალდებულია:

10.3.1. გასცეს სესხის თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით და ვადებში;

10.3.2 მოგირავნე ვალდებულია დამგირავებლის მიერ დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ დაუბრუნოს მას 6.1. პუნქტში აღნიშნული ძვირფასეულობა 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

10.3.3 მსესხებლის/დამგირავებლის მიერ 10.4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საპროცენტო სარგებლის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელი/მოგირავნე უფლებამოსილია ამ ვადის გასვლიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მსესხებლის მიერ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში სარეალიზაციოდ მიაქციოს გირავნობის საგანი, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა გადააჭარბებს/აღემატება ვალდებულების სრულად აღმოსაფხვრელად საჭირო თანხის მაჩვენებელს ნამატი თანხა გაითვალისწინება, როგორც გამსესხებლის საკუთრება.

10.4. მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია:

10.4.1. დააბრუნოს სესხის თანხა სარგებელთან (პროცენტთან) ერთად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით, პირობებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ან გადაიხადოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ითვლება ყოველი მომდევნო _____ თვით, ხოლო მსესხებელი/დამგირავებელი ვალდებულია სესხის ძირითადი თანხის სრულად გადახდამდე გადაიხადოს ყოველთვიური საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებიდან _____ თვის თავზე.

11.3 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:

11.3.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

11.3.2 მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში

11.3.3 მსესხებლის მიმართ ნებისმიერი სასამართლო დავის წამოწყება, რითაც საფრთხე შეექმნება მსესხებელის ქონებას ან საექვო გახდება მსესხებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

11.3.4 ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი დანართებით და/ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით და/ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.3.5 გამსესხებელს/მოგირავნეს უფლება აქვს მსესხებლის მიერ სესხის პროცენტის გადახდის მიუხედავად შეწყვიტოს ხელშეკრულება და არ მიიჩნიოს იგი გაგრძელებულად მომდევნო _____ თვის ვადით და ხელშეკრულების საწყისი ვადის გასვლის შემდგომ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მსესხებელს/დამგირავებელს დავალიანების სრულად დაფარვა, რაზეც წინასწარ შეატყობინებს მსესხებელს სმს შეტყობინების საშუალებით.

11.3.6 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება იმ ვადის გასვლის შედეგად, რა ვადითაც დადებულია იგი, თუ სახეზე არ გვაქვს 11.2. პუნქტში მითითებული შემთხვევა;

11.4 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

11.4.1 მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება (ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის, ჯარიმის და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) გამსესხებლის წინაშე;

11.5 გამსესხებელი გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან მსესხებლის წინაშე.

მუხლი 11'. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

11'.1. მსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში უარი თქვას სესხის ხელშეკრულებაზე;

11'.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე 11'.1. პუნქტში მითითებული ვადის დაცვის გათვალისწინებით (ვადის ამოწურვამდე) აცნობოს გამსესხებელს აღნიშნულის თაობაზე მატერიალურად წარდგენილი წერილობითი შეტყობინების ან წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მსესხებელი ასევე უფლებამოსილია გამსესხებლის ინფორმირება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მოახდინოს ინტერნეტ/მობაილბანკიდან;

11'.3. მსესხებლის მიერ წინამდებარე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა სრულად და ერთიანად გადაიხადოს/დააბრუნოს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი სესხით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, და მსესხებლის მიერ სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ან/და გამსესხებლის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯები (მათი არსებობის შემთხვევაში);

11'.3.1. მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიუხედავად უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება, მათ შორის საპროცენტო სარგებლის გადახდა, თუ მისი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან, ვალდებულების სრულად დაფარვამდე მონაკვეთში (იგულისხმება ოცდაათდღიანი ვადა) სესხზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის გადახდა;

11'.4. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტალად მსესხებლის მიერ 11'.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

11'.5. მსესხებლის მიერ 11'.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არასრული, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის 11'.1. პუნქტის დაცვით წარდგენილი შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, რა შემთხვევაშიც მსესხებელი ვალდებულია სესხზე მომსახურება განაგრძოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

11'.6. მსესხებელს არა აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ მის მიერ დარღვეული იქნა წინამდებარე მუხლის 11'.1 ან/და 11'.2. განსაზღვრული ვადები და პირობები;

მუხლი 12. კონფიდენციალობა, პერსონალური მონაცემების დამუშავება

12.1. მსესხებელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ თანხმობას აძლევს გამსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების, საფუძვლებითა და წესით.

12.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით. მსესხებელი ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების ზემოაღნიშნულ ფარგლებში დამუშავებაზე და მესამე პირებისთვის გადაცემაზე.

12.3. გამსესხებელი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ გამსესხებლის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის, შესაბამისი სასამართლო განჩინების, ამ შეთანხმების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.

12.4. მონაცემების შენახვა ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საგადასახადო კოდექსისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვად(ებ)ის გათვალისწინებით. მონაცემთა სუბიექტს (მსესხებელს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს გამსესხებელს და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია.

12.5. მსესხებელს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გატანის უფლება, გასაჩივრების უფლება;

12.6. მსესხებელს კანონის შესაბამისად უფლება აქვს გამსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების მიმართვის გზით გაიხმოს/გაითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნით გაცემული თანხმობ(ებ)ა.

12.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში, მსესხებლის მხრიდან მისი უფლებების რეალიზაციის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულებას, მათ შორის მსესხებლის მოთხოვნის შესრულებას თანხმობის გახმობის თაობაზე; თანხმობის გახმობა მსესხებელს არ ათავისუფლებს თანხმობის გაცხადებით (მის ფარგლებში) დამდგარი/გამოწვეული საამართლებრივი შედეგებისაგან.

12.8. მსესხებელი იძლევა თანხმობას, მისი მონაცემების დამუშავების პროცესში გამსესხებელმა გამოიყენოს, როგორც ადამიანური ჩართულობით, ასევე ავტომატიზებული ფორმით დამუშავების მეთოდები.

12.9. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (I) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (II) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (III) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

წინამდებარე სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ძალაშია თავსართში მითითებული თარიღის სამუშაო დღის ბოლომდე

12.10. მიუხედავად 12.9. პუნქტში მითითებული შეზღუდვისა მსესხებელი თანახმაა და გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

12.10.1. გამსესხებლის კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების გაწევის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), კერძოდ: სახელი; გვარი; პირადობის მოწმობის ნომერი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართები (რეგისტრირებული, ფაქტიური); ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ნებისმიერი კატეგორიის პერსონალური მონაცემი (შემდგომში “მონაცემი”), რომელიც მსესხებელმა გამსესხებელს მიაწოდა სასესხო განაცხადის შევსებით, სატელეფონო საუბრით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ან სხვა ფორმით გახდა ცნობილი გამსესხებლისთვის. ამასთან მსესხებლისგან გამსესხებლისთვის ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფორმით ინფორმაციის მიწოდება განიხილება როგორც მსესხებლის თანხმობა გამსესხებლის მიერ ამ მონაცემების დამუშავების თაობაზე.

12.10.2. გამსესხებლის მიერ მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნების გარდა დამატებით განხორციელდეს შემდეგი მიზნებით:

12.10.2.1. მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

12.10.2.2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

12.10.2.3. გამსესხებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც გამსესხებელი ახორციელებს მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

12.10.2.4. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

12.11. მსესხებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემ(ებ)ი (მათ შორის, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური, საკონტაქტო და სხვა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ (განთავსებული: www.scapp.ge) და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამავდროულად, მსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს შეთავაზებ(ებ)ის მიღების შეწყვეტა იმავე ფორმით/არხით, რომლითაც იღებს შეთავაზებას/ებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოქმედებს უვადოდ (მის გამოხმობამდე), ხოლო თანხმობის გახმობის შემთხვევაში, მსესხებელი ვეღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებას/ებს მომსახურების და/ან პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან დაკავშირებით. მსესხებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გახმობის შემთხვევაში, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავება შეწყდება გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა.

12.12. სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“-ს ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მსესხებელს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის მეილზე წერილობით, ოფიცერი შემსრულებლის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 (კალენდარული) დღის განმავლობაში გასცემს პასუხს.

მუხლი 13. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

13.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს საქ.მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. შეტყობინების წესი.

14.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულების აღნიშნ მისამართებზე, ტელეფონებსა და ელ.ფოსტის მისამართებზე;

გამსესხებლისათვის: საქართველო, თბილისი, წერეთლის #118; 1-ლი პავილიონი, ტელ: 2 300 300, info@scapp.ge;

მსესხებლისთვის: _____

14.2. მსესხებელი აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს გამსესხებლის მიერ გამოგზავნილი ყველაწერი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე;

14.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის მისამართებზე, მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად;

14.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი შეიცვლის ადგილსამყოფელს, ელ.ფოსტას ან ტელეფონის ნომერს, იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს გამსესხებელს;

14.5. ამ ხელშეკრულების 14.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს ან/და ელ.ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართებად ჩაითვლება ახალი მისამართები და მასზე სრულად გავრცელდება ამ ხელშეკრულების 14.2 და 14.3 მუხლებით დადგენილი წესები;

წინამდებარე სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ძალაშია თავსართში მითითებული თარიღის სამუშაო დღის ბოლომდე

14.6. ამ ხელშეკრულების 14.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით არ აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს, ან/და ელ. ფოსტის მისამართს, საკონტაქტო მისამართებად ჩაითვლება ამ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართები და ამ მისამართებზე გავრცელდება ამ ხელშეკრულების 14.2 და 14.3 მუხლებით დადგენილი წესები;

14.7. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 14.4 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რაიმე სახის პრეტენზიის დაყენება გამსესხებლის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად დაარაოზრავრთვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ გამსესხებლისათვის ცნობილი იყო მსესხებლის ახალი მისამართი.

14.8. გამსესხებლის მიერ მსესხებელზე გაცემული სესხის მესამე პირზე გასხვისების ან/და სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ან/და სესხის ვადგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის შემთხვევებში, მსესხებლის ინფორმირება უნდა განხორციელდეს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ფაქტ(ებ)ის დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა;

მუხლი 15. დამატებითი დებულებები

15.1 რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არადაამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით და ხელი მოეწეროს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

15.3 მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურიდიული მისამართი.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს. ასეთი დანართებია: შემადგენელი ხელშეკრულებები თანდართული გრაფიკებით, ასევე უზრუნველყოფის შესახებ ყველა ხელშეკრულება, რაც დადებულია ამ ხელშეკრულებით ან დაიდება რომელიმე შემადგენელი ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. ასევე ყველა ისეთი ხელშეკრულება რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით წინამდებარე ხელშეკრულების მომსახურებას ითვალისწინებს მათი დადების შემთხვევაში.

15.6 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს (მათ შორის უზრუნველყოფის ხელშეკრულებას) მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, შემადგენელი თუ სხვა ხელშეკრულება

15.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და თითოეული გადაეცათ მხარეებს.

15.8. გამსესხებლის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი მდებარე მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. 2 ;

15.9. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სესხის თანხის დაბრუნება/გადახდა გამსესხებლისთვის უნდა განხორციელდეს ამავე პუნქტში მითითებული გადახდის გზების საშუალებით. კერძოდ, მსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს და აირჩიოს სესხის გადახდის არხებიდან ერთი ან რამოდენიმე გადახდის გზა და ესენია: ა) გამსესხებლის სერვის-ცენტრებში განთავსებული სალარო; ბ) თიბისი ფეის საგადახდელო არხები: 1) თვით მომსახურების ტერმინალი, 2) ონლაინ საგადახდელო სისტემა (<https://tbcpay.ge/>) გ) საქართველოს ბანკის საგადახდელო არხი: 1) თვით მომსახურების ტერმინალი "express pay" აპარატი, 2) ინტერნეტ ბანკი, 3) მობაილ ბანკი, 4) ონლაინ საგადახდელო სისტემა (www.bogpay.ge)

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვიტეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ” არ არის ლიცენზირებული ბანკი და

ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი

გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

გამსესხებელი /მოგირავენ
სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ”
წარმომადგენელი

მსესხებელი/დამგირავებელი

ფ/პ _____ (პირადი N _____)

წინამდებარე სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ძალაშია თავსართში მითითებული თარიღის სამუშაო დღის ბოლომდე